

Chine - Georgia

შეთანხმება
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და
საქართველოს მთავრობას შორის
სამოქალაქო საჰაერო ტრანსპორტის შესახებ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და საქართველოს მთავრობა (შემდგომში "ხელშემკვერელ მხარეებად წოდებულნი");

გამოთქვამენ რა სურვილს ხელი შეუწყონ ორ ხალხს შორის მეგობრულ ურთიერთობებს და ორ ქვეყანას შორის განავითარონ ორმხრივი თანამშრომლობა სამოქალაქო ავიაციის სფეროში;

ითვლებიან რა 1944 წლის 7 დეკემბერს ქ. ჩიკაგოში ხელმოსაწერად გახსნილი საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ კონვენციის მონაწილეებად;

შეთანხმდნენ შესაბამის ტერიტორიებს შორის და მათ ფარგლებს გარეთ საჰაერო მომსახურების დაწესებასა და ამოქმედებაზე;

მუხლი 1
განმარტებები

წინამდებარე შეთანხმების გამოყენებისა და განმარტების მიზნით, თუ სხვა რამ არ გამოძინარეობს ტექსტიდან:

1. ტერმინი "საავიაციო ხელისუფლება" - ნიშნავს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მიმართებაში - ჩინეთის სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას, ან ნებისმიერ პირს ან სააგენტოს, უფლებამოსილს განახორციელოს ამ ადმინისტრაციის მიერ ამჟამად შესრულებული ფუნქციები; ხოლო საქართველოსთან მიმართებაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და/ან სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, ან ნებისმიერ პირს ან უწყებას, უფლებამოსილს განახორციელოს ხსენებული სამინისტროს ან სააგენტოს ამჟამად შესრულებული ფუნქციები.
2. ტერმინი "შეთანხმება" ნიშნავს წინამდებარე შეთანხმებას და მის დანართს, აგრეთვე, ამ შეთანხმების მე-19 მუხლის (შესწორებები და ცვლილებები) შესაბამისად, წინამდებარე შეთანხმების და/ან მისი დანართის ნებისმიერ შესწორებას.
3. ტერმინი "ავიასაწარმო" ნიშნავს საჰაერო ტრანსპორტის ნებისმიერ საწარმოს, რომელიც სათავაზობს ან ახორციელებს საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლებს.
4. ტერმინი "დანიშნული ავიასაწარმო" ნიშნავს ავიასაწარმოს, რომელიც დანიშნული და უფლებამოსილია წინამდებარე შეთანხმების მე-3 მუხლის (ავიასაწარმოს დანიშვნა და უფლებამოსილების მინიჭება) თანახმად.
5. ტერმინი "საჰაერო ხომალდი" ნიშნავს სამოქალაქო საჰაერო ხომალდს.

6. ტერმინი "საპაერო მომსახურება" ნიშნავს ნებისმიერ რეგულარულ საპაერო მომსახურებას, რომელსაც ახორციელებს საპაერო ხომალდები მგზავრების, გადაყვანის, ფოსტის, ან ტვირთის გადაზიდვის მიზნით.
7. "საერთაშორისო საპაერო მომსახურება" ნიშნავს საპაერო მომსახურებას, რომელიც ხორციელდება საპაერო სივრცეში ერთ სახელმწიფოზე მეტ ტერიტორიაზე.
8. ტერმინი "არაკომერციული მიზნით შეჩერება" ნიშნავს მგზავრების, ბარგის, ტვირთის ან ფოსტის ჩასხლომა-ჩატვირთვის გადმოყვანა-გადმოტვირთვის გარდა, ნებისმიერი მიზნით საპაერო ხომალდის დაჯდომას,
9. ტერმინი "ტევადობა" ნიშნავს:
- ა) საპაერო ხომალდთან მიმართებაში, საპაერო ხომალდის კომერციულ ჩატვირთვას მარშრუტზე ან მარშრუტის მონაკვეთზე.
 - ბ) საპაერო მომსახურებასთან დაკავშირებით, აღნიშნული მომსახურებისთვის გამოყენებული საპაერო ხომალდის ტევადობას, გამრავლებულს დროის გარკვეულ პერიოდში ამ საპაერო ხომალდის მიერ შესრულებული რეისების სიხშირეზე მთელ მარშრუტზე ან მის მონაკვეთზე.
10. ტერმინი "ტარიფი" ნიშნავს მგზავრთა გადაყვანის, ბარგისა და ტვირთის გადასატან ღირებულებას და ამ ღირებულების ამოღების პირობებს, გადასახადის თანხის, სააგენტო და სხვა სახის მომსახურების ჩათვლით, საფოსტო გადაზიდვების ღირებულებისა და პირობების გამოკლებით;
11. ტერმინი "დადგენილი მარშრუტი" ნიშნავს მარშრუტის განაწესში დადგენილ მარშრუტს.
12. ტერმინი "კონვენცია" ნიშნავს 1944 წლის 7 დეკემბერს ქ. ჩიკაგოში ხელმოსაწერად გახსნილ "საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ" კონვენციას და მოიცავს, ამ კონვენციის 90 მუხლის მიხედვით მიღებულ მის ნებისმიერ დანართს, და კონვენციის ან მისი დანართების 90-ე და 94-ე მუხლის მიხედვით მიღებულ ნებისმიერ შესწორებას, მას შემდეგ, რაც აღნიშნული სახის დანართები და შესწორებები ორივე ხელშემკვერელი მხარისთვის შევა ძალაში.
13. ტერმინი "ტერიტორია" ჩინეთთან მიმართებაში ნიშნავს სახმელეთო ტერიტორიას, მის მიმდებარე ტერიტორიულ წყლებს და მის ზემოთ არსებულ საპაერო სივრცეს, რომელიც ჩინეთის სუვერენიტეტს ექვემდებარება; ხოლო საქართველოსთან მიმართებაში მას ჩიკაგოს კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა ენიჭება.
14. ტერმინი "მარშრუტების განაწესი" ნიშნავს მარშრუტების განაწესს თანდართულს შეთანხმებაზე ან შესწორებულს ამ შეთანხმების მე-19 მუხლის პირობების შესაბამისად (შესწორებები და ცვლილებები). მარშრუტის განაწესი შეადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს

მუხლი 2 უფლებათა მინიჭება

1. თითოეული ხელშემკვერელი მხარე, ამ შეთანხმების დანართში (შემდგომში "შეთანხმებულ მომსახურებად" წოდებული) აღნიშნული რეგულარული საერთაშორისო მიმოსვლის მარშრუტების განხორციელების მიზნით, ანიჭებს მეორე ხელშემკვერელ მხარეს ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ უფლებებს.

2. წინამდებარე შეთანხმების დებულებებს დაქვემდებარებული თითოეული ავიასაწარმო, დადგენილ მარშრუტებზე სახელშეკრულებო საჰაერო ხაზის ექსპლუატაციისას სარგებლობს შემდეგი უფლებებით:

a) ერთი ხელშეკრული მხარის საავიაციო ხელისუფლებების მიერ ნებადართულ მარშრუტ(ებ)ზე მეორე ხელშეკრული მხარის ტერიტორიაზე დაჯდომის გარეშე გადაფრენის უფლებით;

b) არაკომერციული მიზნით მეორე ხელშეკრული მხარის ტერიტორიაზე პუნქტ(ებ)ში დაჯდომის უფლებით, მეორე ხელშეკრული მხარის საავიაციო ხელისუფლების თანხმობის შემთხვევაში;

c) ერთი ხელშეკრული მხარის ტერიტორიაზე განსაზღვრული მარშრუტების პუნქტ(ებ)ში დაჯდომის უფლებით, მეორე ხელშეკრული მხარის ტერიტორიიდან ან მისკენ მიმართულ საერთაშორისო მგზავრთა ჩასხდომისა და/ან გადმოსხდომის, ტვირთის, ფოსტის ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის მიზნით.

3. ერთი ხელშეკრული მხარის დანიშნული ავიასაწარმოების მიერ შესაძე ქვეყნიდან/ში მეორე ხელშეკრული მხარის ტერიტორიის პუნქტ(ებ)ში მიმავალი საერთაშორისო მგზავრთა ჩასხდომისა და გადმოსხდომის უფლება უნდა შეთანხმდეს ორი ხელშეკრული მხარის საავიაციო ხელისუფლებებს შორის.

მუხლი 3

ავიასაწარმოს დანიშნა და უფლებამოსილების მინიჭება

1. თითოეულ ხელშეკრულ მხარეს უფლება აქვს წერილობით აცნობოს მეორე ხელშეკრულ მხარეს ერთი ან რამდენიმე ავიასაწარმოს დანიშნა განსაზღვრულ მარშრუტებზე შეთანხმებული მომსახურების შესასრულებლად და აღნიშნული დანიშნების გაუქმება ან შეცვლა.

2. თითოეული ხელშეკრული მხარის მიერ დანიშნული ავიასაწარმოს ძირითადი მფლობელობა და ეფექტური კონტროლი რჩება ამ ხელშეკრული მხარის ან მისი მოქალაქეების ხელში;

3. თითოეული ხელშეკრული მხარის საავიაციო ხელისუფლებამ შესაძლოა მოსთხოვოს მეორე ხელშეკრული მხარის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოს იმის მტკიცებულება, რომ ეს ავიასაწარმო საკმარისადაა კვალიფიცირებული შესასრულოს იმ კანონებისა და წესების თანახმად განსაზღვრული პირობები და ვალდებულებები, რომელიც ჩვეულებრივ და გონივრულად გამოიყენება ამ ხელისუფალთა მიერ საერთაშორისო საჰაერო მომსახურების შესასრულებლად.

4. აღნიშნული სახის დანიშნის მიღებისას, მეორე ხელშეკრული მხარე ამ მუხლის 2 და 3 პუნქტების პირობების გათვალისწინებით, ანიჭებს ამგვარად დანიშნულ ავიასაწარმო(ებ)ს შესაბამისს საექსპლუატაციო უფლებამოსილებას არამიზანშეწონილი დაგვიანების გარეშე.

5. ერთი ხელშეკრული მხარის მიერ დანიშნულ ავიასაწარმო(ებ)ს შეუძლია საექსპლუატაციო უფლებამოსილების მიღებისთანავე ამ შეთანხმების დებულების შესაბამისი პირობების თანახმად დაიწყოს/დაიწყონ შეთანხმებული მომსახურების შესრულება აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭების დღიდან.

მუხლი 4 უფლებამოსილების გაუქმება, შეჩერება ან პირობების წაყენება

1. თითოეულ ხელშემკვერელ მხარეს აქვს უფლება მეორე ხელშემკვერელი მხარის მიერ დანიშნულ ავიასაწარმო(ებ)ს გაუქმოს ან შეუჩეროს საექსპლუატაციო უფლებამოსილება ან წაუყენოს ისეთი პირობები, რასაც აღნიშნული ავიასაწარმოს მიერ ამ შეთანხმების მე-2 მუხლით (უფლებების მინიჭება) განსაზღვრული უფლებების განსახორციელებლად იგი ჩათვლის საჭიროდ, შემდეგ შემთხვევებში:

a. თუ ეს ხელშემკვერელი მხარე არ არის დარწმუნებული, რომ დანიშნული ავიასაწარმოს უბირატესი მფლობელობა და მასზე რეალური კონტროლი ამ ავიასაწარმოს დანიშნული ხელშემკვერელი მხარის ან მისი მოქალაქეების ხელშია; ან

b. როცა ეს ავიასაწარმო არ ასრულებს ამ შეთანხმების მე-5 მუხლში განსაზღვრულ პირველი ხელშემკვერელი მხარის კანონებსა და წესებს; ან

c. როცა ეს დანიშნული ავიასაწარმო ვერ ახორციელებს ექსპლუატაციას ამ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. თუ ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ექსპლუატაციის ნებართვის გაუქმება, შეჩერება ან პირობების დაწესება დაუყოვნებლივ არ არის საჭირო ამ დანიშნული ავიასაწარმოს მიერ კანონებისა და წესების შემდგომი დარღვევის თავიდან ასაცილებლად, მაშინ ამ უფლებით სარგებლობა ხდება მხოლოდ მეორე ხელშემკვერელ მხარესთან კონსულტაციების გამართვის შემდეგ.

მუხლი 5 კანონებისა და წესების გამოყენება

1. ერთი ხელშემკვერელი მხარის კანონები და წესები, რომლებიც არეგულირებენ თავის ტერიტორიაზე საერთაშორისო ფრენების განმხორციელებელი საჰაერო ხომალდების დაშვებას ან აფრენას, ექსპლუატაციას და ამ ხომალდების ნავიგაციას თავის ტერიტორიის საზღვრებში მათი ყოფნის პერიოდში, ვრცელდება მეორე ხელშემკვერელი მხარის მიერ დანიშნული ავიასაწარმოს (ების) საჰაერო ხომალდზე.

2. ერთი ხელშემკვერელი მხარის კანონები და წესები, რომლებიც არეგულირებენ მგზავრების, ეკიპაჟის, ბარგის, ტვირთისა ან ფოსტის მიღებას, გაჩერებასა და გაგზავნას, კერძოდ შესვლის, სავიზო, საემიგრაციო, საპასპორტო, საბაჟო და სანიტარული კანონები და წესები გამოიყენება მეორე მხარის მიერ დანიშნული ავიასაწარმო(ებ)ს საჰაერო ხომალდის მგზავრების, ეკიპაჟების, ტვირთისა და ფოსტის მიმართ; მათი პირველი ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის და გამგზავრების დროს.

3. საჰაერო ხომალდთან დაკავშირებული სხვა სახის წესები და კანონები და ერთი ხელშემკვერელი მხარის სამოქალაქო ავიაციის დებულებები გამოიყენება მეორე ხელშემკვერელი მხარის დანიშნული ავიასაწარმო(ებ)ს

მიერ, პირველი ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე შეთანხმებული მომსახურების შესრულებისას.

4. პირდაპირი ტრანზიტის მგზავრები, ბარგი, ტვირთი და ფოსტა, რომელებიც არ ტოვებენ, ამ მიზნისათვის განკუთვნილ, აეროპორტის ტერიტორიას გაივლიან მხოლოდ გამარტივებულ კონტროლს.

მუხლი 6 ტევადობის პირობები

1. ხელშემკვერელი მხარეების მიერ დანიშნულ ავიასაწარმოებს მიეცემათ შესაბამის ტერიტორიებს შორის დაწესებულ მარშრუტებზე შეთანხმებული მომსახურების შესასრულებლად სამართლიანი და თანაბარი პირობები.

2. თითოეული ხელშემკვერელი მხარის დანიშნული ავიასაწარმოების მიერ შეთანხმებული მომსახურება უნდა უზრუნველყოფდეს გონივრული ჩატვირთვის კოეფიციენტს, რომელიც შეესაბამება ხელშემკვერელი მხარეების ტერიტორიებს შორის მგზავრთა გადაყვანის, ისევე როგორც ბარგის, ტვირთისა და ფოსტის გადაზიდვის მოთხოვნებს.

3. ორივე ხელშემკვერელი მხარის დანიშნული ავიასაწარმოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის ტევადობას, სიხშირეს და საჰაერო ზომადლის ტიპს. არცერთი ხელშემკვერელი მხარის საავიაციო ხელისუფლება ცალმხრივად არ ზღუდავს ტევადობას, სიხშირეს და საჰაერო ზომადლის ტიპს, რომელიც ექსპლუატირებულია მეორე ხელშემკვერელი მხარის დანიშნული ავიასაწარმოს მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს შეზღუდვა საბაჟო, ტექნიკური, საექსპლუატაციო ან გარემოს დაცვის მიზნით ჩიკაგოს კონვენციის მე-15 მუხლით განსაზღვრული ერთგვაროვანი პირობების შესაბამისად.

4. ერთი ხელშემკვერელი მხარის მიერ დანიშნული ავიასაწარმოები, მეორე ხელშემკვერელი მხარის საავიაციო ხელისუფლებას დასამტკიცებლად წარუდგენენ ფრენის განრიგებს მათი ძალაში შესვლამდე სამოცი (60) დღით ადრე. განსაკუთრებულ შემთხვევაში, აღნიშნული პერიოდი შეიძლება შემცირდეს ორივე ხელშემკვერელი მხარის საავიაციო ხელისუფლებებს შორის შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 7 ზიარი კოდის გამოყენება

შეთანხმებულ მარშრუტებზე მომსახურების განხორციელებისას ან მათზე უფლებების ფლობისას, ორივე ხელშემკვერელი მხარის მიერ დანიშნულ ნებისმიერ ავიასაწარმოს შეუძლია გააფორმოს შეთანხმებები კოდის ერთობლივი გამოყენების შესახებ:

- a. ერთი ხელშემკვერელი მხარის ავიასაწარმოსთან ან ავიასაწარმოებთან;
- b. მეორე ხელშემკვერელი მხარის ავიასაწარმოსთან ან ავიასაწარმოებთან;
- c. მესამე ქვეყნის ავიასაწარმოსთან ან ავიასაწარმოებთან, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მესამე ქვეყანა ნებას რთავს ან უშვებს ერთი ხელშემკვერელი მხარის ავიასაწარმოებსა და სხვა ავიასაწარმოებს

შორის მესამე ქვეყნიდან/ქვეყანაში ან მისი გავლით მომსახურების შესრულებას;

იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ხელშეკრულებით დაკავშირებული ყველა ავიასაწარმო:

a. ფლობს შესაბამის უფლებამოსილებას და მიმოსვლის უფლებებს შესაბამის მარშრუტებსა და მათ სეგმენტებზე;

b. მის ან მათ მიერ გაყიდულ ბილეთებთან დაკავშირებით, გაყიდვის პუნქტებში ნათლად განუმარტოს მომხმარებელს თუ რომელი ავიასაწარმო შეასრულებს რეისს მომსახურების თითოეულ სექტორზე და რომელ ავიასაწარმოსთან ან ავიასაწარმოებთან შედის მომხმარებელი კომერციულ გარიგებაში.

ორივე ხელშეკრველი მხარისთვის ნათელია, რომ ზიარი კოდის გამოყენება არ იმოქმედებს ზიარი კოდის მიმნიჭებული გადამზიდველის ტევადობაზე.

შეთანხმება ზიარი კოდის გამოყენების შესახებ უნდა წარედგინოს ხელშეკრველი მხარეების საავიაციო ხელისუფლებებს დასამტკიცებლად.

პუნქტი 8 ტარიფები

1. თითოეული ხელშეკრველი მხარის დანიშნული ავიასაწარმოს მიერ გამოყენებული, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ტარიფები წესდება გონივრულად, ყველა ფაქტორის, მათ შორის მომხმარებელთა ინტერესების, საექსპლუატაციო დანახარჯების, მომსახურების მასასიათებლების, გონივრული შემოსავლის, სხვა ავიასაწარმოს ტარიფებისა და ბაზარზე არსებული სხვა კომერციული მოხაზრებების გათვალისწინებით;
2. ხელშეკრველი მხარეები უთმობენ განსაკუთრებულ ყურადღებას იმ ტარიფებს, რომლებიც შესაძლებელია იყოს მიუღებელი, დისკრიმინაციული, არაგონივრულად მაღალი ან შეზღუდული, რომლებიც გამოწვეულია დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებით, ხელოვნურადაა დაწეული პირდაპირი ან არაპირდაპირი სახელმწიფო სუბსიდირების ან დახმარების საფუძველზე;
3. თითოეულ ხელშეკრველ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ტარიფის შეტყობინება ან წარდგენა. მსგავსი შეტყობინება ან წარდგენა შესაძლებელია მოთხოვნილი იყოს არაუგვიანეს ოცდაათი (30) დღისა, ტარიფების შეყვანისათვის შეთავაზებულ თარიღამდე. განსაკუთრებულ შემთხვევებში აღნიშნული ვადა შესაძლებელია შემცირდეს.
4. თითოეული ხელშეკრველი მხარე უფლებამოსილია დაამტკიცოს ან უარყოს ტარიფები ერთი ან ორივე მიმართულებით ორივე ხელშეკრველი მხარის ტერიტორიებს შორის, რომელიც იწყება მის საკუთარ ტერიტორიაზე. ტარიფები, რომელსაც აწესებს ერთი ხელშეკრველი მხარის ავიასაწარმო მეორე ხელშეკრველ მხარესა და მესამე სახელმწიფოს შორის გადაყვანა-გადაზიდვის მომსახურებაზე რომელსაც ფარავს წინამდებარე ხელშეკრულება ექვემდებარება მეორე ხელშეკრველი მხარის მიერ დამტკიცებას. არცერთი ხელშეკრველი მხარე ცალმხრივად არ იმოქმედებს, რათა თავიდან აიცილოს შემოთავაზებული ტარიფის ძალაში შესვლა ან ორ ხელშეკრველ მხარეს

შორის ერთი ან ორივე მიმართულებით გადაზიდვას უწყვეტური ტარიფების გაგრძელება, რომელიც იწყება მეორე ხელშეკრული მხარის ტერიტორიაზე.

5. თუ არცერთი შესაბამისი საავიაციო ხელისუფლება ტარიფის წარდგენიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად არ გამოხატავს უთანხმოებას, ტარიფები ითვლება დამტკიცებულად. თუ მცირდება მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წარდგენის პერიოდი, საავიაციო ხელისუფლებები თანხმდებიან, რომ შეტყობინების ვადა გახდება ოცდაათ დღეზე ნაკლები.

6. თუ ერთი ხელშეკრული მხარე თვლის, რომ მის ტერიტორიაზე გადაზიდვის ტარიფი მიეკუთვნება მე-2 პუნქტში აღწერილ კატეგორიას, ეს ხელშეკრული მხარე რაც შეიძლება სწრაფად და სულ მცირე შეტყობინების მიღების თარიღიდან ან ტარიფის წარდგენიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში ატყობინებს მეორე ხელშეკრულ მხარეს უთანხმოების შესახებ და მოითხოვს კონსულტაციების გამართვას, მე-7 პუნქტის შესაბამისად.

7. თითოეული ხელშეკრული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს კონსულტაციების გამართვა თითოეული ხელშეკრული მხარის ავიასაწარმოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების ნებისმიერ ტარიფთან დაკავშირებით, იმის ჩათვლით, რომ აღნიშნული ტარიფი წარმოადგენდა უთანხმოების საგანს. აღნიშნული კონსულტაციები უნდა გაიმართოს შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს სამოცი (60) დღისა. ხელშეკრულმა მხარემ უნდა ითანამშრომლოს საკითხის გონივრული გადაჭრისათვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად. თუკი ხელშეკრული მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას, თითოეულმა ხელშეკრულმა მხარემ უნდა იზრუნოს ამ შეთანხმების განხორციელებაზე. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა უპირატესობა ენიჭება იმ ხელშეკრული მხარის გადაწყვეტილებას, რომლის ტერიტორიიდანაც დაიწყო გადაზიდვის შესრულება.

8. ამ მუხლის დებულებების თანხმად დამტკიცებული ტარიფები რჩება ძალაში, თუ იგი უარყოფილი არ იქნება აღნიშნული ავიასაწარმოების მიერ ან სანამ ახალი ტარიფი დამტკიცდება. ტარიფი ძალაში რჩება მისი მოქმედების ვადის გასვლის თარიღიდან არაუმეტეს ექვსი (6) თვისა, თუ ეს დამტკიცებული არ არის ხელშეკრული მხარეების მიერ. თუ ტარიფი დამტკიცებულია მოქმედების ვადის გარეშე და თუ წარმოდგენილი და დამტკიცებული არ არის ახალი ტარიფი, ტარიფი რჩება ძალაში სანამ რომელიმე ხელშეკრული მხარე შეტყობინების საშუალებით აუქმებს მის მოქმედებას საკუთარი ინიციატივით ან აღნიშნული ავიასაწარმოს(ების) მოთხოვნის საფუძველზე. მსგავსი გაუქმება არ უნდა მოხდეს არანაკლებ ოცდაათ (30) დღიანი წინასწარი შეტყობინების გარეშე.

მუხლი 9

ტექნიკური მომსახურება და გადასახადის ტარიფი

1. თითოეული ხელშეკრული მხარე უზრუნველყოფს რეგულარულ აეროპორტ(ებ)ს, სათადარიგო აეროპორტ(ებ)ს და სანავიგაციო საშუალებებს თავის ტერიტორიაზე, აგრეთვე შესაბამის მომსახურებას საკომუნიკაციო, სანავიგაციო, მეტეოროლოგიური და სხვა დამხმარე საშუალებებისა და ხელშეკრული მხარის დანიშნული ავიასაწარმოს(ების) მიერ შესრულებულ მომსახურებებს.

2. თითოეული ხელშემკვერელი მხარის დანიშნულ ავიასაწარმო(ებ)ს დაეკისრება მეორე ხელშემკვერელი მხარის აეროპორტებისა და სანავიგაციო საშუალებების გამოყენებისთვის სამართლიანი და გონივრული გადასახადები, დაწესებული მეორე ხელშემკვერელი მხარის შესაბამისი ხელისუფლების მიერ. აღნიშნული სახის ტარიფი არ უნდა აღემატებოდეს სხვა სახელმწიფოს ავიასაწარმოების მიერ მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე მდებარე მსგავსი აეროპორტებისა და სანავიგაციო საშუალებების გამოყენებისა და მომსახურებისათვის გადასახდელ თანხას.

მუხლი 10

სტატისტიკური მონაცემებით უზრუნველყოფა

თითოეული მხარის საავიაციო ხელისუფლება, მოთხოვნისამებრ, აწვდის მეორე მხარის საავიაციო ხელისუფლებას იმ სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც შესაძლოა გონივრულად მოითხოვოს ერთი ხელშემკვერელი მხარის მიერ დანიშნულმა ავიასაწარმო(ებმა) განსაზღვრულ მარშრუტზე შეთანხმებული მომსახურების ტევადობის განსაზღვრის მიზნით. აღნიშნული სახის მონაცემები შეიცავს შეთანხმებული მომსახურების დროს აღნიშნული ავიასაწარმოს მიერ გადაყვანილი მგზავრების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციას.

მუხლი 11

წარმომადგენლობა და პერსონალი

1. განსაზღვრულ მარშრუტებზე შეთანხმებული მომსახურების შესასრულებლად დანიშნულ ავიასაწარმო(ებ)ს შუეძლიათ, ურთიერთანხმობის საფუძველზე, გახსნან წარმომადგენლობა განსაზღვრული მარშრუტების პუნქტ(ებ)ში მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე.
2. თითოეული ხელშემკვერელი მხარის დანიშნული ავიასაწარმო(ები)ს წარმომადგენლებსა და პერსონალზე ვრცელდება მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე მოქმედი კანონები და წესები.
3. თითოეულმა ხელშემკვერელმა მხარემ უნდა აღმოუჩინოს დახმარება მეორე ხელშემკვერელი მხარის დანიშნული ავიასაწარმო(ებ)ს წარმომადგენლობებსა და მომსახურე პერსონალს.

მუხლი 12

საბაჟო გადასახადები და ბეგარა

1. მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე ერთი ხელშემკვერელი მხარის დანიშნული ავიასაწარმოს მიერ შეთანხმებული მომსახურების განმხორციელებელი საჰაერო ხომალდის ჩამოფრენისას, აღნიშნული საჰაერო ხომალდი და მისი სატაბელო ქონება, სათადარიგო ნაწილები (ძრავის ჩათვლით), საწვავი, ნავთი (ჰიდრაულიკური სითხის, საპოხი მასალის ჩათვლით) და საჰაერო ხომალდზე არსებული მარაგი (საკვები, სასმელისა და თამბაქოს ჩათვლით) თავისუფლდება უკუგების საფუძველზე ბეგარის, საბაჟო, საინსპექციო და სხვა მსგავსი სახის გადასახადისგან, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სახის მოწყობილობები და მარაგი რჩება ხომალდზე მათი უკან გატანამდე.

2. შემდეგი მოწყობილობები და მარაგი თავისუფლდება უკუგების საფუძველზე ბეგარის, საბაჟო, საინსპექციო და სხვა მსგავსი სახის გადასახადისგან, გარდა ისეთი გადასახადისა, რომელიც შემდეგი სახის მომსახურებაზე დაკისრებული:

ა. სატაბელო ქონება, სათადარიგო ნაწილები (ძრავის ჩათვლით), საწვავი, ნაეთი (ჰიდრაულიკური სითხის, საპოზი მასალის ჩათვლით) და საჰაერო ხომალდზე არსებული მარაგი (საკვები, სასმელისა და თამბაქოს ჩათვლით) გადაზიდული მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე და გამიზნული გამოსაყენებლად დანიშნული ავიასაწარმო(ები)ს საჰაერო ხომალდის მიერ შეთანხმებული მომსახურების შესრულებისას, იმ შემთხვევაშიც, როცა აღნიშნული სახის მოწყობილობა და მარაგი გამოიყენება მარშრუტის იმ მონაკვეთზე, რომელიც სრულდება მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

ბ. სათადარიგო ნაწილები (ძრავის ჩათვლით), რომელიც შემოტანილია ერთი მხარის ტერიტორიაზე დანიშნული ავიასაწარმო(ები)ს შეთანხმებული მომსახურების შესრულებული საჰაერო ხომალდის რემონტისა ან ტექნიკური მომსახურებისთვის.

3. ამ მუხლის 1 და 2 პუნქტში აღნიშნული მოწყობილობა და მარაგი შესაძლოა გადმოიტვირთოს მეორე მხარის ტერიტორიაზე მხოლოდ შეთანხმების მონაწილე ქვეყნის საბაჟო სამსახურის ნებართვით. აღნიშნული სახის მოწყობილობა და მარაგი უნდა იყოს მეორე ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ხელისუფლების მიერ კონტროლისა ან საბაჟო მეთვალყურეობის ქვეშ მათი უკან გატანამდე, ან მეორე ხელშემკვრელი მხარის საბაჟო წესების შესაბამისად, სხვა დანიშნულების მიღებამდე.

4. წინამდებარე მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული გადასახადებისგან გათავისუფლება გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ერთი ხელშემკვრელი მხარის დანიშნულ ავიასაწარმოს კონტრაქტი ექნება დადებული იმ ავიასაწარმოს(ებ)თან, რომელიც სარგებლობს გადასახადებისგან გათავისუფლების მსგავსი უფლებებით ამ მუხლის 1 და 2 პუნქტებში აღნიშნული მოწყობილობისა და მარაგის სესხების ან მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ტრანსფერის დროს.

5. ერთი ხელშემკვრელი მხარის დანიშნული ავიასაწარმო(ები)ს მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე შემოტანილი ავიაბილეთები, ავიაზედნადები, სარეკლამო მასალები, უკუგების საფუძველზე, თავისუფლდება ბეგარის, საბაჟო, საინსპექციო და სხვა სახის მსგავსი გადასახადებისაგან.

6. საოფისე მარაგი, საოფისე მომსახურების მანქანა, აეროპორტისთვის განკუთვნილი სპეციალური მანქანა, მგზავრთა და ბარგის გადასაზიდი ავტობუსის ტიპის მანქანა, კომპიუტერული რეზერვაციის სისტემა და საკომუნიკაციო მოწყობილობა რომელიმე ხელშემკვრელი მხარის მიერ დანიშნული ავიასაწარმო(ები)ს წარმომადგენლობის სათადარიგო ნაწილების ჩათვლით, მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე შეტანისას უკუგების საფუძველზე, თავისუფლდება საბაჟო და სხვა სახის საიმპორტო გადასახადებისგან, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სახის მარაგი გამიზნულია ავიასაწარმოს მიერ მისი გამოყენებისთვის და არ აღემატება მიზანშეწონილ შეზღუდვას.

7. პირდაპირი ტრანზიტის დროს ბარგი, ტვირთი, და ფოსტა თავისუფლდება, უკუგების საფუძველზე, ბეგარის, საბაჟო, საინსპექციო და სხვა სახის მსგავსი გადასახადებისგან, რომელიც შეესაბამება უზრუნველყოფილ მომსახურებას.

8. თითოეული ხელშემკვერელი მხარის დანიშნული ავიასაწარმო(ებ)ს მიერ მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე შეთანხმებული მომსახურების შესრულების შედეგად რეალიზებული შემოსავალი და მოგება თავისუფლდება ყველა სახის გადასახადისაგან.

9. ერთი ხელშემკვერელი მხარის დანიშნული ავიასაწარმო(ებ)ს ქონება უკუგების საფუძველზე, თავისუფლდება ყველა სახის გადასახადისაგან მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე.

10. რომელიმე ხელშემკვერელი მხარის დანიშნული ავიასაწარმო(ებ)ს წარმომადგენლობის მუშაკების (რომლებიც წარმოადგენენ პირველი ხელშემკვერელი მხარის მოქალაქეებს) მიერ მიღებული ხელფასები, შემოსავლები და მსგავსი სახის ანაზღაურება მეორე მხარის ხელშემკვერელის მიერ თავისუფლდება, უკუგების საფუძველზე, ყველა სახის გადასახადისაგან.

მუხლი 13

შემოსავლების კონვერტირება და გადაგზავნა

1. თითოეული მხარის დანიშნულ ავიასაწარმო(ებ)ს, ნაცვალგების საფუძველზე, უფლება აქვს ერთი ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე გადაგზავნოს მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე მიღებული შემოსავალი.

2. აღნიშნული სახის შემოსავლის კონვერტირება და გადაგზავნა ხორციელდება გადაგზავნის დღისთვის მოქმედი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის კურსით.

3. თითოეული ხელშემკვერელი მხარე უმარტივესს მეორე ხელშემკვერელი მხარის დანიშნულ ავიასაწარმო(ებ)ს მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე მიღებული შემოსავლის კონვერტირებასა და გადაგზავნას და უყოვნებლივ ეხმარება აღნიშნულ ავიასაწარმო(ებ)ს შესაბამისი ფორმალობების დაცვისას.

მუხლი 14

საავიაციო უშიშროება

1. ხელშემკვერელი მხარეების მიერ ერთმანეთის მიმართ ვალდებულების ხელმეორედ დადასტურება, უკანონო ჩარევის აქტებისაგან საავიაციო უშიშროების დასაცავად, წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს. ხელშემკვერელი მხარეები მოქმედებენ ქ. ტოკიოში 1963 წლის 14 სექტემბერს ხელმოწერილი კონვენციის „საჰაერო ხომალდში ჩადენილ დანაშაულებათა და ზოგიერთ სხვა მოქმედებათა შესახებ“; 1970 წლის 16 დეკემბერს ქ. ჰააგაში ხელმოწერილი კონვენციის „საჰაერო ხომალდის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“; 1971 წლის 23 სექტემბერს ქ. მონრეალში ხელმოწერილი კონვენციის „სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“ და „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტებში ძალადობის უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“ 1988 წლის 24 თებერვალს მონრეალში ხელმოწერილი ოქმის დებულებათა შესაბამისად, ისევე როგორც ამავე სფეროში არსებული იმ ყველა სხვა საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, რომელთა მონაწილეობა შეიძლება გახდნენ ხელშემკვერელი მხარეები.

2. მოთხოვნის საფუძველზე, ხელშემკვრელი მხარეები ყოველგვარ აუცილებელ დახმარებას აღმოუჩენენ ერთმანეთს, რათა თავიდან აიცილონ სამოქალაქო საპაერო ზომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდება და საპაერო ზომალდის, მისი მგზავრების, ეკიპაჟის, აეროპორტებისა და აეროსანავიგაციო საშუალებების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული სხვა ამგვარი უკანონო ქმედებები და მათი განხორციელების ნებისმიერი სხვა მუქარა, რომელიც საფრთხეს უქმნის სამოქალაქო ავიაციის უშიშროებას.

3. ხელშემკვრელი მხარეები ორმხრივი ურთიერთობებისას იმოქმედებენ საავიაციო უშიშროების სტანდარტების შესაბამისად და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაწესებული და ჩიკაგოს კონვენციის დამატებებად წოდებული რეკომენდირებული პრაქტიკის შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც ისინი მათ მიერ გამოიყენება. ხელშემკვრელი მხარეები მოსთხოვენ საკუთარი რეგისტრაციის საპაერო ზომალდის ექსპლუატანტებს, ასევე ექსპლუატანტებს, რომელთა საქმიანობის ძირითადი ადგილი ან მუდმივი ადგილსამყოფელი არის მათ ტერიტორიაზე და მათ ტერიტორიაზე არსებული აეროპორტების ექსპლუატანტებს, იმოქმედონ სამოქალაქო ავიაციის უშიშროების ამ დებულებათა შესაბამისად.

4. თითოეული ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს თავის სახელმწიფო ტერიტორიაზე ეფექტური ღონისძიების გატარებას, რათა დაიცვას საპაერო ზომალდი, შეამოწმოს მგზავრები და ხელბარგი, ჩაატაროს ეკიპაჟის, ტვირთის (მათ შორის, საბარგულში მოთავსებული ბარგის) და საპაერო ზომალდის მარაგის შესაბამისი შემოწმება ჩასხდომა-ჩატვირთვამდე და ჩასხდომა-ჩატვირთვისას და მუქარის გაზრდის შემთხვევებში უშიშროების ამ ღონისძიებების მისადაგებას შექმნილ ვითარებასთან. თითოეული ხელშემკვრელი მხარე თანახმაა, რომ მის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოებს მეორე ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოსთხოვოს 3 პუნქტში აღნიშნული საავიაციო უშიშროების დებულებების შესრულება, რომლებიც აუცილებელია ამ მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე შესასვლელად, სახელმწიფო ტერიტორიის დასატოვებლად ან ტერიტორიაზე ყოფნისათვის. თითოეული ხელშემკვრელი მხარე დადებითად შეზღუდება მეორე ხელშემკვრელი მხარის თხოვნას უშიშროების გონიერულ, სპეციალურ ღონისძიებათა გატარების თაობაზე კონკრეტულ მუქარასთან დაკავშირებით.

5. სამოქალაქო საპაერო ზომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდების ან მისი უკანონოდ ხელში ჩაგდების მუქარის არსებობისას, ან ასეთი საპაერო ზომალდის, მისი მგზავრებისა და ეკიპაჟის, აეროპორტებისა და სანავიგაციო საშუალებათა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული სხვა უკანონო ქმედებების დროს, ხელშემკვრელი მხარეები დაეხმარებიან ერთმანეთს კომუნიკაციებისა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების გამარტივებით, რომლებიც მიმართულია ამ ინციდენტის ან მუქარის რაც შეიძლება სწრაფად და უსაფრთხოდ აღკვეთისაკენ.

მუხლი 15 ფრენის უსაფრთხოება

1. თითოეული ხელშემკვერელი მხარე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს კონსულტაცია მეორე ხელშემკვერელი მხარის მიერ დამტკიცებულ ფრენის უსაფრთხოების სტანდარტებზე საჰაერო ხომალდის ეკიპაჟთან, საჰაერო ხომალდთან ან მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სფეროში. ასეთი კონსულტაციები ტარდება ამგვარი თხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.
 2. თუ ამგვარი კონსულტაციების შედეგად, ერთი ხელშემკვერელი მხარე გამოავლენს, რომ მეორე ხელშემკვერელი მხარე ეფექტურად არ ინარჩუნებს და არ წარმართავს უსაფრთხოების სტანდარტებს იმ ნებისმიერ სფეროში, რომელიც უთანაბრდება ამ დროისათვის ჩიკაგოს კონვენციის მიერ დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს, ერთი ხელშემკვერელი მხარე მეორე ხელშემკვერელ მხარეს ატყობინებს ამ ვითარების შესახებ და იმ ზომებზე, რაც ამ მინიმუმი სტანდარტების შესასრულებლად არის საჭირო და მეორე ხელშემკვერელმა მხარემ უნდა მიიღოს შესაბამისი შესწორების ღონისძიება. თუ მეორე ხელშემკვერელი მხარე ვერ მიიღებს შესაბამის ღონისძიებებს 15 დღის ან შესაძლო შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში, ეს მდგომარეობა იქნება ამ შეთანხმების მე-4 მუხლის (უფლებამოსილების გაუქმება, შეჩერება ან პირობების წაყენება) გამოყენების საფუძველი.
 3. მოუხედავად იმ ვალდებულებებისა, რაც დადგენილია ჩიკაგოს კონვენციის 33-ე მუხლში, ხელშემკვერელი მხარეები თანხმდებიან იმაზე რომ ნებისმიერი საჰაერო ხომალდი, რომელიც ექსპლუატირებულია ერთი ხელშემკვერელი მხარის ავიასაწარმოს ან ავიასაწარმოების მიერ და რომელიც ახორციელებს მიმოსვლას მეორე ხელშემკვერელი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე ან ტერიტორიიდან, შეიძლება, მეორე ხელშემკვერელი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე ყოფნის დროს, შემოწმდეს მეორე ხელშემკვერელი მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ბორტზე ან საჰაერო ხომალდის ირგვლივ, რათა გაირკვეს საჰაერო ხომალდისა და მისი ეკიპაჟის დოკუმენტთა ვარგისიანობა და საჰაერო ხომალდისა და მისი შემადგენლობის (ამ მუხლში „შემოწმება ფრენის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“) რეალური მდგომარეობა, იმ პირობით, რომ ეს არ გამოიწვევს საჰაერო ხომალდის არამიზანშეწონილ შეფერხებას.
 4. თუ ნებისმიერი ამგვარი შემოწმება ფრენის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან მთელი რიგი ამგვარი შემოწმებებისა გამოიწვევს:
 - a. სერიოზულ ეჭვს, რომ საჰაერო ხომალდი და მისი ექსპლუატაცია არ შეესაბამება ჩიკაგოს კონვენციის მიერ იმ დროს დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს; ან
 - b. სერიოზულ ეჭვს, როცა არსებობს ჩიკაგოს კონვენციის მიერ იმ დროისათვის დადგენილი უსაფრთხოების სტანდარტების ეფექტური წარმართვისა და შენარჩუნების ნაკლოვანება,
- ხელშემკვერელ მხარეს, რომელიც ახორციელებს შემოწმებას ჩიკაგოს კონვენციის 33-ე მუხლის მიზნებისთვის, შეუძლია დაასკვნას რომ,

მოთხოვნები, რომლის საფუძველზეც მოწმობები და ლიცენზიები არის გაცემული ან ვარგისიანობა მინიჭებული საჰაერო ხომალდებზე და საჰაერო ხომალდების ეკიპაჟზე და ასევე მოთხოვნები, რომლის საფუძველზეც საჰაერო ხომალდი არის ექსპლუატირებული არ უთანაბრდება ან არ შეესაბამება ჩიკაგოს კონვენციის მიერ დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.

5. იმ შემთხვევაში, როცა ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფელი შემოწმების განსახორციელებელი უფლება ერთი ხელშემკვრელი მხარის ავიასაწარმოს ან ავიასაწარმოების მიერ ექსპლუატირებულ საჰაერო ხომალდზე იქნება უარყოფილი, ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ამ ავიასაწარმოს ან ავიასაწარმოების წარმომადგენლების მიერ, მეორე ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია დაასკვნას, რომ გამოწვეული იქნება ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული სერიოზული ეჭვები.

6. თითოეული ხელშემკვრელი მხარე სარგებლობს უფლებით შეაჩეროს ან შეცვალოს მეორე ხელშემკვრელი მხარის ავიასაწარმოს ან ავიასაწარმოების საექსპლუატაციო უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ პირველი ხელშემკვრელი მხარე დაასკვნის, რომ ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფელი შემოწმების ან ამგვარი შემოწმების უარყოფის ან კონსულტაციის და სხვაგვარი საქმიანობის უფლების უარყოფის შედეგად, ავიასაწარმოს ექსპლუატაციის უსაფრთხოებისთვის აუცილებელია გადაუღებელი მოქმედება.

7. ერთი ხელშემკვრელი მხარის ნებისმიერი მოქმედება ამ მუხლის 2 და 6 პუნქტების მიხედვით ვერ გაგრძელდება, როგორც კი ამ მოქმედების განხორციელების საფუძველი შეწყვეტს არსებობას.

მუხლი 16 ლიცენზიებისა და მოწმობების აღიარება

1. ერთი ხელშემკვრელი მხარე აღიარებს ფრენის ვარგისობის სერტიფიკატებს, კვალიფიკაციის სერტიფიკატებს და ლიცენზიებს, რომელიც გაცემულია ან აღიარებულია მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ დადგენილ მარშრუტებზე შეთანხმებული მომსახურების ექსპლუატაციის მიზნით იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი სერტიფიკატებისა და ლიცენზიების სტანდარტები შეესაბამება ან აღემატება ჩიკაგოს კონვენციის შესაბამისად ჩამოყალიბებულ მინიმალურ სტანდარტებს.

2. თითოეული ხელშემკვრელი მხარე იტოვებს უფლებას არ სცნოს მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ, ამ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე გადაფრენის მიზნით, მის მოქალაქეებზე გაცემული დაშვების მოწმობები და ლიცენზიები.

მუხლი 17 კონსულტაციები

1. მჭიდრო თანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერისთვის თითოეულმა ხელშემკვრელმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ამ შეთანხმების დებულებების სწორი განხორციელება და შესაბამისობა. ამ მიზნით ორივე ხელშემკვრელი

მხარის საავიაციო ხელისუფლებები ერთმანეთთან დროდადრო ჩატარებენ კონსულტაციებს.

2. რომელიმე ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით კონსულტაციების ჩატარება მეორე ხელშემკვრელ მხარესთან. ამგვარი კონსულტაციები შეიძლება დაიწყოს რაც შეიძლება სწრაფად მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ მოთხოვნის მიღების დღიდან არაუგვიანეს სამოცი (60) დღის განმავლობაში თუ სხვაგვარად არ შეთანხმდნენ.

მუხლი 18 დავების გადაწყვეტა

1. წინამდებარე შეთანხმების განმარტების ან განხორციელების თაობაზე ხელშემკვრელ მხარეებს შორის დავის წარმოქმნის შემთხვევაში, ორივე ხელშემკვრელი მხარის საავიაციო ხელისუფლებები პირველ რიგში შეეცდებიან დაეხმარან მოლაპარაკებების გზით.

2. იმ შემთხვევაში თუ ორივე ხელშემკვრელი მხარის საავიაციო ხელისუფლებები ვერ შეძლებენ აღნიშნული დავის გადაჭრას, ამგვარი დავის გადაჭრა მოხდება ხელშემკვრელი მხარეების მიერ დიპლომატიური არხების მეშვეობით.

მუხლი 19 დამატებები და ცვლილებები

1. თუ რომელიმე ხელშემკვრელი მხარე გამოთქვამს სურვილს ამ შეთანხმების ან მისი დანართის ნებისმიერი დებულების შესწორებაზე, მეორე ხელშემკვრელ მხარეს შეიძლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს კონსულტაციების გამართვა, და ამგვარი კონსულტაცია, რომელიც შეიძლება განხორციელდეს დისკუსიებით ან მიმოწერით, უნდა დაიწყოს მეორე ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნის მიღებიდან ოთხმოცდაათი (90) დღის განმავლობაში, იმ შემთხვევაში თუ ხელშემკვრელი მხარეები არ შეთანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე.

2. კონსულტაციები, რომელიც აღნიშნულია ამ მუხლის 1-ელ პუნქტში, შეიძლება აგრეთვე ჩატარდეს ხელშემკვრელი მხარეების საავიაციო ხელისუფლებებს შორის.

3. ამ შეთანხმების ან მისი დანართის ნებისმიერი შესწორება შევა ძალაში დიპლომატიური არხების მეშვეობით მათი დამტკიცების თაობაზე ნოტების გაცვლის შემდეგ.

4. თუ შესწორება ეხება მხოლოდ შეთანხმების დანართს (მარშრუტების განაწესი) იგი შეიძლება შეთანხმდეს ხელშემკვრელი მხარეების საავიაციო ხელისუფლებებს შორის და ძალაში შედის საავიაციო ხელისუფლებების შეთანხმების დღიდან.

მუხლი 20
შეთანხმების მოქმედების შეწყვეტა

თითოეულ ხელშემკვერელ მხარეს შეუძლია დიპლომატიური არხების მეშვეობით ნებისმიერ დროს შეატყობინოს მეორე ხელშემკვერელ მხარეს თავისი განზრახვა ამ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე. ამ შემთხვევაში შეთანხმება თავის მოქმედებას წვევს ამგვარი შეტყობინების მიღების თარიღიდან თორმეტი (12) თვის შემდეგ, თუ აღნიშნული შეტყობინება არ იქნა გამოწვეული ხელშემკვერელი მხარეების მიერ შეთანხმების საფუძველზე ზემოაღნიშნული ვადის ამოწურვამდე.

მუხლი 21
რეგისტრაცია

ეს შეთანხმება ან მისი ნებისმიერი შესწორება რეგისტრირებული იქნება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში.

მუხლი 22
ძალაში შესვლა


ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელშემკვერელი მხარეების მიერ დიპლომატიური ნოტების გაცვლის დღიდან, რომლითაც ისინი ადასტურებენ თითოეული ხელშემკვერელი მხარის მიერ ამ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი ყველა შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის დასრულებას;

რის დასტურათაც ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან შესაბამისი მთავრობების მიერ, ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას.

შესრულებულია ქ. თბილისში, 2011 წლის 10 ივნისს, დედნად ჩინურ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია. ტექსტების განსხვავებული განმარტებისას უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

**ჩინეთის სახალხო
რესპუბლიკის მთავრობის
სახელით**

**საქართველოს მთავრობის
სახელით**



დანართი მარშრუტების განაწესი

1. მარშრუტები, რომელზედაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიერ დანიშნული ავიასაწარმოები განახორციელებენ საჰაერო მიმოსვლას ორივე მიმართულებით უნდა იყოს შემდეგი:

საწყისი პუნქტი: ნებისმიერი პუნქტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში
შუალედური პუნქტი: ნებისმიერი პუნქტი
დანიშნულების პუნქტი: ნებისმიერი პუნქტი საქართველოში
პუნქტები საზღვრებს გარეთ: ნებისმიერი პუნქტი

2. მარშრუტები, რომელზედაც საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული ავიასაწარმოები განახორციელებენ საჰაერო მიმოსვლას ორივე მიმართულებით უნდა იყოს შემდეგი:

საწყისი პუნქტი: ნებისმიერი პუნქტი საქართველოში
შუალედური პუნქტი: ნებისმიერი პუნქტი
დანიშნულების პუნქტი: ნებისმიერი პუნქტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში
პუნქტები საზღვრებს გარეთ: ნებისმიერი პუნქტი

შენიშვნა:

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარის დანიშნულ ავიასაწარმოს (ებს) შეუძლია გამოტოვოს ნებისმიერი ან ყველა რეისი, დაწესებულ მარშრუტებზე ნებისმიერი პუნქტი და შეიძლება მოემსახუროს მათ ნებისმიერ შემთხვევაში იმის გათვალისწინებით, რომ შეთანხმებული მიმოსვლა იწყება და მთავრდება ავიასაწარმოს დამნიშვნელი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე

2. ორივე ხელშემკვრელი მხარის დანიშნული ავიასაწარმო (ები) უფლებამოსილია დაწესებულ მარშრუტებზე შეუზღუდავად განახორციელოს ჰაერის მესამე და მეოთხე თავისუფლების უფლებები და შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს ტევადობა და ფრენის სიხშირეები შეთანხმებული მომსახურების დაწესებულ მარშრუტებზე.

3. ორივე ხელშემკვრელი მხარის დანიშნული ავიასაწარმოს (ების) მიერ ჰაერის მეხუთე თავისუფლების გამოყენების უფლება ზემოაღნიშნულ მარშრუტებზე უნდა შეთანხმდეს ორივე ხელშემკვრელი მხარის საავიაციო ხელისუფლებებს შორის.

4. თითოეული ხელშემკვრელი მხარის ნებისმიერ დანიშნულ ავიასაწარმოს შეუძლია შეთანხმებული მიმოსვლების ექსპლუატაცია თავიანთი საკუთარი საჰაერო ხომალდის გამოყენებით, ლიზინგით აყვანილი საჰაერო ხომალდების გამოყენებით ან სხვა კომპანიების საჰაერო ხომალდისა და ეკიპაჟის გამოყენებით იმ პირობით, რომ:

a. ექსპლუატირებული საჰაერო ხომალდი და ეკიპაჟი შეესაბამება ორივე ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნებს;

ბ. როდესაც საპაერო ხომალდი აყვანილია ლიზინგით მესამე ქვეყნის ავიასაწარმოსგან, მხოლოდ დამჭირავებელი ავიასაწარმო იქნება უფლებამოსილი შეასროლოს მიმოსვლის უფლებები შეთავაზებულ მარშრუტებზე; და

ც. მესამე ქვეყნიდან ლიზინგით აყვანილი საპაერო ხომალდი დაშვებულ იქნება არა უმეტეს ორი წლის ხანგრძლივობით, დროებით საფუძველზე, და შესაბამისმა დანიშნულმა ავიასაწარმომ (ემბა) განაცხადის წარდგენამდე უნდა წარუდგინოს ხელშეკვრელი მხარეების კომპეტენტურ ხელისუფლებებს, მოთხოვნისამებრ, პასუხისმგებლობები, დაზღვევა და სხვა შესაბამისი დოკუმენტები.